#1 ადგილი ოფიციალური დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტურობის მიმართულებით

მომხმარებლის **92%-ის** კმაყოფილება ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურების მიმართულებით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა", EBRD, 2011

2 405 405

info@psh.gov.ge

www.psh.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში



აპოსტილი

...დაამოწმე დოკუმენტი მარტივად!

იუსტიციის სახლი

აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია

საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების უცხო ქვეყანაში წარსადგენად შესაძლებელია საჭირო გახდეს მათი აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია.

რას ნიშნავს აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია?

აპოსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია ნიშნავს დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის ავთენტურობის (ნამდვილობის) დამოწმებას.

რა განსხვავებაა აპოსტილით დამოწმებასა და ლეგალიზაციას შორის?

აპოსტილით დამოწმება მარტივი, ერთსაფეხურიანი პროცედურაა, რომლის დროსაც დოკუმენტის დამოწმება ერთჯერადად, ერთი კონკრეტული უწყების მიერ ხდება. აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტი შეგიძლიათ პირდაპირ გამოიყენოთ საზღვარგარეთ.

ლეგალიზაცია სამ საფეხურიანი პროცედურაა. დამოწმების პროცესში რამდენიმე უწყება მონაწილეობს.

ლეგალიზაციის პირველი ეტაპის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანოს (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო) მიერ დოკუმენტის დამოწმების შემდეგ ლეგალიზაციის მე-2 ეტაპს განახორციელებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი. ლეგალიზაციის ბოლო ეტაპს (საკონსულო ლეგალიზაცია) წარმოადგენს საქართველოში აკრედიტირებული იმ უცხო ქვეყნის დიპლომატიური / საკონსულო დაწესებულების მიერ დამოწმება, სადაც უნდა იქნას წარდგენილი დოკუმენტი.

რა სახის დოკუმენტები ექვემდებარება ლეგალიზაციას/აპოსტილით დამოწმებას?

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები;
- სამედიცინო დაწესებულებების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტები;
- სასამართლო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები;
- სანოტარო აქტები (გარდა იმ აქტებისა, რომლებიც შეეხება ასლის დედანთან იდენტურობისა და მთარგმნელის ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას);
- საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები;
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ასლის დედანთან იდენტურობის დამადასტურებელი დამოწმების ფურცელი;
- აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული დოკუმენტის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული თარგმანი.

რა სახის დოკუმენტები არ ექვემდებარება ლეგალიზაციას/აპოსტილით დამოწმებას?

- საზღვარგარეთ აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები;
- კერძო სამართლის იურიდიული პირების (გარდა სამედიცინო და ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) მიერ გაცემული დოკუმენტები;

- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო და კომერციულ ოპერაციებთან;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მისი ასლი და ფოტოპირი;
  (გარდა გამცემი ორგანოს მიერ დამოწმებული საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლისა)
- სამხედრო ბილეთი;
- სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტი (ტექნიკური პასპორტი) და მართვის მოწმობა;
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული ქვითრები;
- ასლის დედანთან იდენტურობისა და თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობის დამადასტურებელი სანოტარო აქტები;
- საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული ნორმატიული აქტები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დე-ფაქტო ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ გაცემული დოკუმენტები.

სად შემიძლია საქართველოში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება?

საქართველოში დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება შესაძლებელია:

ა) იუსტიციის სახლებში;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

ერთი დოკუმენტის, დოკუმენტის თარგმანის ან ასლის ლეგალიზაცია/აპოსტილით დამოწმებისათვის:

ვადა	ერთეული ბიბლიოთეკა
8 სამუშაო დღეში	[illegible]
4 სამუშაო დღეში	40 ლარი
2 სამუშაო დღეში	70 ლარი
1 სამუშაო დღეში	100 ლარი

დოკუმენტის თარგმნა: ერთი გვერდი – 20 ლარი

შენიშვნა: ადმინისტრაციული თარგმანი თავის მხრივ ექვემდებარება დამოწმებას, თარგმანთან ერთად დოკუმენტის დამოწმების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად: მაგალითად, 8 სამუშაო დღეში დოკუმენტის დამოწმების საფასური შეადგენს 20 ლარს, ამ დოკუმენტის თარგმნა (ერთი გვერდი) – 20 ლარს, ხოლო თარგმანის დამოწმების საფასური ასევე 8 სამუშაო დღეში – 20 ლარს (სულ 60 ლარი). საფასური შეიცვლება სათარგმნი გვერდების რაოდენობისა და დამოწმების ვადის მიხედვით.

რომელი ქვეყნები ურთიერთობენ ერთმანეთში დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის გარეშე?

აპოსტილი/ლეგალიზაციის გარეშე დოკუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგ ქვეყნებში:

1. **აზერბაიჯანი**
2. **ბელარუსი**
3. **თურქმენეთი**
4. **მოლდოვა**
5. **რუსეთი**
6. **სომხეთი**
7. **ტაჯიკეთი**
8. **უზბეკეთი**
9. **უკრაინა**
10. **ყაზახეთი**
11. **ყირგიზეთი**
12. **საქართველო**

საქართველოში გაცემული დოკუმენტები აპოსტილით უნდა
დამოწმდეს, თუ ის გამოიყენება ქვემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში:

1. ალბანეთი
2. ანდორა
3. ანტიგუა და ბარბუდა
4. არგენტინა
5. სომხეთი
6. ავსტრალია
7. ავსტრია
8. აზერბაიჯანი
9. ბაჰამა
10. ბარბადოსი
11. ბელარუსი
12. ბელგია
13. ბელიზი
14. ბოსნია და ჰერცეგოვინა
15. ბოტსვანა
16. ბრუნეი დარუსალამი
17. ბულგარეთი
18. კაბო ვერდე
19. ჩინეთი (ჰონ-კონგი)
20. ჩინეთი (მაკაო)
21. კოლუმბია
22. კუკის კ-ები
23. ხორვატია
24. კვიპროსი
25. ჩეხეთის რესპუბლიკა
26. დანია
27. დომინიკა
28. დომინიკის რესპუბლიკა
29. ეკვადორი
30. ელ სალვადორი
31. ესტონეთი
32. ფიჯი
33. ფინეთი
34. საფრანგეთი
35. მაკედონია
36. ურუგვაი
37. გერმანია
38. კოსტა რიკა
39. გრენადა
40. ჰონდურასი
41. უნგრეთი
42. ისლანდია
43. ინდოეთი
44. ირლანდია
45. ისრაელი
46. იტალია
47. იაპონია
48. ყაზახეთი
49. კორეის რესპუბლიკა
50. ლატვია
51. ლესოტო
52. ლიბერია
53. ლიხტენშტაინი
54. ლიტვა
55. ლუქსემბურგი
56. მალავი
57. მალტა
58. მარშალის კ-ები
59. მავრიკია
60. მექსიკა
61. მონაკო
62. მონღოლეთი
63. მონტენეგრო
64. ნამიბია
65. ნიდერლანდები
66. ახალი ზელანდია
67. ნიუე
68. ნორვეგია
69. პანამა
70. პოლონეთი
71. პორტუგალია
72. მოლდოვას რესპუბლიკა
73. რუმინეთი
74. რუსეთის ფედერაცია
75. სენტ კიტსი და ნევისი
76. სენტ ლუსია
77. სენტ ვინსენტი და გრენადინები
78. სამოა
79. სან მარინო
80. სან ტომე და პრინსიპი
81. სერბეთი
82. სეიშელი
83. სლოვაკეთი
84. სლოვენია
85. სამხრეთ აფრიკა
86. ესპანეთი
87. სურინამი
88. სვაზილანდი
89. შვედეთი
90. შვეიცარია
91. ტონგა
92. ტრინიდადი და ტობაგო
93. თურქეთი
94. უკრაინა
95. გაერთიანებული სამეფო
96. აშშ
97. ვანუატუ
98. ვენესუელა
99. პერუ
100. ყირგიზეთი
101. უზბეკეთი
102. ნიკარაგუა
103. ომანი